სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

18 სექტემბერი 2024

N 21/9819

სს „ეპ ჯორჯია გენერაციას“
მის: ქ. თბილისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩა №24
ელ. ფოსტა: mariam.mchedlishvili@energo-pro.ge

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №8548 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ცაგერის მუნიციპალიტეტში, ლაჯანური ჰესის უდაწნეო გვირაბის გამოსასვლელი პორტალის მარცხნივ, მდ. ლაჯანურის მარჯვენა ნაპირზე ნაპირდამცავი გაბიონის მოწყობას. წარმოდგენილ დოკუმენტში გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ჰიდროლოგიური ანგარიში, სადაც მოცემული იქნება საანგარიშო ხარჯის, დატბორვის დონეების, კალაპოტის წარეცხვის სიღრმის მეთოდოლოგია, ფორმულების და რიცხვითი მნიშვნელობების ჩვენებით;
- მონაცემთა გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ნაპირსამაგრი ნაგებობის განთავსების ტერიტორია ნაწილობრივ ზედდებაშია სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან (ს/კ: 89.17.22.190). შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს მითითებული მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების შესახებ ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/9819-21-2-202409181003

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE